ბრძანება:**ბ112. 1122235410**
თარიღი:**20/12/2022**

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებების პრივატიზებისთვის განმეორებით უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და

აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი''54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა''ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის, 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ'' შპს „საკონსულტაციო ჯგუფის კავკასაუდიტის“ 2022 წლის 6 ივლისის დასკვნა N328, შპს „საკონსულტაციო ჯგუფის კავკასაუდიტის“ 2022 წლის 25 ივლისის დასკვნა N373, შპს „საკონსულტაციო ჯგუფის კავკასაუდიტის“ 2022 წლის 21 მარტის დასკვნა N118, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 ივლისის №გ-113.113222072 და 2022 წლის 12 აგვისტოს N 113.113222243 განკარგულებების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.განმეორებით გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებებზე დანართები N1-ის შესაბამისად.

2.დანართებიი N1 წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.

3.ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ის მეშვეობით.

4.დაევალოს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს, უპირობო ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ელექტრონული აუქციონის პორტალზე www.eauction.ge.

5.ადიგენის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს დაევალოს აუქციონში გამოვლენილი გამარჯვებულისთვის გამარჯვების ოქმის, ხელშეკრულებისა და საკუთრების მოწმობის გაფორმება;

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის.ქ.ახალციხე, კ.მებაღიშვილის ქ.62).

7.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა ქიმაძე

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი